ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური

9 ივლისი 2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და ი.მ. გიორგი ვეფხვაძე აიტი სტუდია"-ს (ს.კ.59001106096) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული N158 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გამარტივებულ შესყიდვაში (დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N158

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ჩოხატაური *9 ივლისი 2019 წელი*

ერთის მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კუჭავას სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე გიორგი ვეფხვაძე აიტი სტუდია, ს.კ. 5900110096, შემდგომში „მიმწოდებელი", სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეის მერის 2019 წლის 4 ივლისის N1065 ბრძანების შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დასუფთავების მოსაკრებლებლის პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის „VGIO PAY"-S დამზადება.
შესასყიდი პროგრამის შესაძლებლობები და ფუნქციები მოცემულია დანართი N1-ში (CPV72200000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 9 აგვისტოს ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 4000 (ოთხი ათასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით. შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში, რაიმე ხარვეზის შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში განახორციელოს მისი აღმოფხვრა.
4.3 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა შესრულებული მომსახურების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი” და „შემსყიდველი” მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და შესრულებულ მომსახურების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივ მოსაკრებელთა განყოფილება.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 9 სექტემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქ.ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2
სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 242008705
ტელ: 577952055
ელ-ფოსტა:shorenakacharava@yahoo.com

Chokhatauri municipality

Digitally signed by Chokhatauri municipality
Date: 2019.07.09 14:47:34 +04'00'

მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კუჭავა

მომწოდებელი

ინდ.მეწარმე გიორგი ვეფხვაძე
აიტი სტუდია
ს/კოდი: 59001106096
მის: ქ. გორი, ქუთაისის ქ. N66
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ნ GE45BG0000000855016200
ტელ: 599 89 88 10

ელ ფოსტა: gvepkhvadze@gmail.com

ინდ.მეწარმე გიორგი ვეფხვაძე

Giorgi Vepkhvadze

Digitally signed by Giorgi Vepkhvadze
Date: 2019.07.09 17:06:02 +04'00'

დანართი 1

დასუფთავების პროგრამის შესაძლებლობები და ფუნქციები:

. სააბონენტო მონაცმთა ერთიანი ელექტრონული ბაზა;

. აბონენტების დამატება, წაშლა, განახლება, სტატუსის შეცვლა;

. ტარიფების სისტემა, ახალი ტარიფის დამატება, არსებული ტარიფის შეცვლა;

. ადმინისტრაციული ერთეულების ან უბნების დამატება შეცვლა განახლება;

. დავალიანებების ავტომატური კონტროლი, გაძლევთ შეტყობინება და ცალკე ბაზაში ასახავს დავალიანების მქონე აბონენტებს განცალკევებით როგორც იურიდიულს ასევე ფიზიკურ პირებს;

. ინკასატორების ბაზა, დამატება წაშლა განახლება;

. ქვითრების დაბეჭდის სისტემა როგორც პერსონალური ასევე საერთო ფილტრაციების ფუნქციით;

. დარიცხვების მოდული, ისტორია როგორც თვეების ასევე წლების მიხედვით .სტატისტიკები;

. შემოსული თანხების ფილტრაცია და გამიჯვნა როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირების;

. ონლაინ გადახდების სისტემებთან ინტეგრაციის მოდული;

. SMS კომპანიასთან ინტეგრაციის მოდული;

. ადმინისტრატორის და სხვა ოპერატორების დამატების მხარდაჭერა;

. პლანშეტის აპლიკაცია ინკასატორებისთვის საიდანაც შეძლებს ინკასატორი მონაცემთა ბაზასთან კავშირს და ადგილზე მოახდენს იმფორმაციის მიღებას;